

# სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი



## ✓ ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას **ფიზიკური ძალადობით** (ცემა, წამება, ფიზიკური შეურაცხყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება...), **ფსიქოლოგიური ძალადობით** (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა...), **სექსუალური ძალადობით** (სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ძალადობით...), **ეკონომიკური ძალადობით** (საკვებით, საცხოვრებელი სარგებლობის, შრომის უფლებისა და თანასაკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა...), **უფლებეუყოფით** (მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისგან დაუცველობა...).

## ✓ ოჯახის წევრი

ოჯახის წევრია: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე, მზრუნველი.

## ✓ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი

ოჯახის წევრი, რომლის უფლებები და თავისუფლებები დაირღვა ოჯახის სხვა წევრის მხრიდან უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა (შემაკავებელი ორდერის გამოცემით ან/და დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებით) ან/და სასამართლო ორგანომ (დამცავი ორდერის გამოცემით) ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ პირის მიმართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებით).

## ✓ ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი

პირი, რომელსაც **მიაჩნია**, რომ არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და დახმარებისთვის მიმართავს შესაბამის ორგანოებს/დაწესებულებებს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლებსა და სავარაუდო მსხვერპლებს სახელმწიფო უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მომსახურებებით სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში - სახელმწიფო ფონდი) ფარგლებში. კერძოდ:

## ✓ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო ფონდის მომსახურებებია:

- ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია;
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;
- სამართლებრივი დახმარება, სასამართლო წარმომადგენლობის ჩათვლით;
- საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება;
- თავშესაფრის მომსახურება, თავშესაფარში სადღეღამისო საცხოვრისით;
- კრიზისული ცენტრის მომსახურება, კრიზისულ ცენტრში სადღეღამისო საცხოვრისით სარგებლობის გარეშე.

## ✓ ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთათვის სახელმწიფო ფონდის მომსახურებებია:

- კრიზისული ცენტრის მომსახურების ფარგლებში:
  - სადღეღამისო საცხოვრისი;
  - ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება;
  - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;
  - სამართლებრივი დახმარება (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე);
  - საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება.

თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის მომსახურებები და სარგებლობის ვადები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**უფასო საკონსულტაციო ცხელი ხაზი 116 006**

**www.atipfund.gov.ge**

**facebook: Atipfund Georgia**